მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება №72
2022 წლის 07 ნოემბერი
ქ. მარტვილი

მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ს.კ: 41.06.37.105 (ფართობი 11 კვ.მ) ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობად, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს დასკვნით წარმოდგენილი თანხის (1870 ლარი) 5%-ის ოდენობით განსაზღვრაზე მარტვილის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე–2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტის, მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N 669 დადგენილების 22 მუხლის მე-2 ნაწილის, 36-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. თანხმობა მიეცეს მარტვილის მუნიციპალიტეტის მერს, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ, არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების ს.კ: 41.06.37.105 მიწის ნაკვეთის (ფართობი 11 კვ.მ) ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობად განსაზღვროს ,სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს დასკვნით წარმოდგენილი თანხის (1870 ლარი) 5% ოდენობით.
2. მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს მარტვილის მუნიციპალიტეტის მერს.
3. განკარგულება ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (მის.: ქ. სენაკი, შოთა რუსთაველის ქ. №247).

საკრებულოს თავმჯდომარე: ლევან სურმავა